წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | პარასკევი 24 თიბათვე 1916 წ. | № 140

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] ...კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათ [illegible] ქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი ფოსტით ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

დღეს, 24 თიბათვეს, დიდუბეში, გარდაცვალების მეცხრე დღეს, განსვენებულ

ალექსანდრე თევდორეს ძის ყიფშიძის

საფლავზე, მისი სულის მოსახსენებლად, ნაშუადღევის 2 საათზე გადახდილ იქმნება პანაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის გულმოკლული **ძმა ზაქარია თევდორეს ძე და მეუღლე მისი ეკატერინე ივანეს ასული ყიფშიძენი შვილებითურთ**

დღეს, 24 თიბათვეს, ნაშუადღევის 2 საათზედ გარდაცვალების მეცხრე დღეს გადახდილ იქნება დიდუბეში პანაშვიდი

ალექსანდრე თევდორეს ძის ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **განსვენებულის ჭირისუფალნი.**

თავადი მალხაზ არჩილის ძე და კნეინა ეკატერინე დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილები და მათი შვილები, კნ. ნინო ელისაბედ, ბარბარე და დიმიტრი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ პირველთა შვილის და მეორეთა ძმის, ნიჟეგოროდის მისი დიდებულის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკის

თ-დ ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის

გვამი გუშინ მოასვენეს ამიერ კავკ. რკ. გზის ნავთლუღის სადგურზე, პარასკევს, საღამოს, 5 საათზე, ნავთლუღის სადგურზე გადახდილ იქნება პანაშვიდი, ხოლო შაბათს, დილის 8 საათზე, კახეთის მატარებლით წაასვენებენ **სოფ. ქოდალოში** და 26 თიბათვეს, შუადღის 12 ს. დაკრძალავენ საგვარეულო აკლდამაში

კნ. ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა და მისი შვილები: არჩილი, ელენე, ივანე და მერაბი (იგივე ხოლომონი) ხოლომონის ძენი და ასული ანდრონიკაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ პირველის—მაზლისწულის, მეორეთა—ბიძაშვილის, ნიჟეგოროდის, მისი დიდებულის **დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკის**

თ-დ ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის

გვამი გუშინ მოასვენეს ამიერ კავკ. რკ. გზის ნავთლუღის სადგურზე, პარასკევს საღამოს 5 საათზე, ნავთლუღის სადგურზე გადახდილ იქნება პანაშვიდი, ხოლო შაბათს, დილის 8 ს., კახეთის მატარებლით წაასვენებენ სოფ. ქოდალოში და 26 ივნისს, შუადღის 12 საათზე დაკრძალავენ საგვარეულო აკლდამაში.

ნინო დიმიტრის ასული, ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილები და ანასტასია დიმიტრის ასული ტარასევიჩისა შვილებით, უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 თიბათვეს, შუადღის 12 საათზე სოფ. ქოდალოს საგვარეულო აკლდამაში დაკრძალავენ მათს დაუვიწყარს დისწულს და ძვირფას ბიძაშვილის მის უდიდ. დრაგუნის პოლკის პრაპორ.

თ-დ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის

ნეშთს. (1—243—1)

თბ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავჯდომარე

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ

არაჩვეულებრივი კრების

გაგრძელება დანიშნულია შაბათს, 25 თიბათვეს, „ახალი კლუბის“ დარბაზში, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები: 1) ახლად ჩაწერილ წევრთა უფლებანი; 2) პენსიონერების საკითხი; 3) ვალ. გუნიას იუბილეს მოწყობა; 4) ქუთ. დრამ. საზოგადოების წინადადება სეზონის წარმოების შესახებ და 5) სარევიზიო კომისიის არჩევა. (2—152—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

პარასკევს, 24 თიბათვეს

მუსულმანთა დასი წარმოადგენს ცნობილ ოპერეტას

არშინ-მალ-ალან

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. (1-151-1)

იყიდება
სახლები გორში და სიღნაღში

გორის ერთსართულიანი სახლი შესდგება შვიდი ოთახისაგან: სამზარეულო, თავლა და სარდაფი ქვევრებით, რომლებიც სულ ცემენტით არიან შეჭედილნი, წყლით, ელექტრონით თავლა და ბაღით სულ ეზოთი 250 ოთხ. საჟენი მიწით.

სიღნაღის ორსართულიანი სახლი შესდგებიან თორმეტი ოთახისაგან, სამ კუთხივ გალერეა, როტონდა, ორი სამზარეულო, ცალკე ოთახი ორი სარდაფით. მიწა ზომით 200 ოთხკ. საჟენი სხვა და სხვა ხეხილებით და დიდი კაკლით. ზაფხულობით ამ ეზოში როტონდით სდგას სიღნაღის ახალი კლუბი.

იკითხეთ: სიღნაღში **დ. ფქვიაშვილთან** (ნაფიცი ვექილი), **დეკ. ტურაშვილთან. თბილისში „საქართველოს“ რედაქციაში.** (2-242-2)

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოხელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ **იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი** ◆

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——

(185—წ.)

ვამზადებთ

პიროვნით ხელმისაწვდომ ფასებში

პრაპორშჩიკთა სკოლისათვის

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—5

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ **პროვიზორის ახვლედიანისა** ◆

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში

ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან

იღებს მანგლისში

კორპუსის ბანაკში

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზჟის ქუჩა, № 19.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზე

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საავაჭრო სახლი

„ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

შრომისა და ზინის მძებნელ პირთა განცხადებანი

— დაიბეჭდება მეოთხე გვერდზე —

ხელმისაწვდომ ფასად

თბილისი, 24 თიბათვე

ომის ამბები

გრძოლის ველზე

დღევანდელ დღეს თითქმის მთელი ევროპა საშინელ ცეცხლის ალშია გახვეული. არ არსებობს აღარც ერთი ადგილი, ბრძოლის რომელიმე მთავარი საყურადღებო ხაზი, სადაც მოპირდაპირენი გალომებულ შეტევას არ აწარმოებდნენ. ახმაურდა კარგა ხნობით გაჩუმებული, გარდა რასაკვირველია ვერდენისა, დასავლეთის ბრძოლის ასპარეზი. უფრო მეტს უნარს, მეტს გაბედულებას და მოქმედების ინიციატივას იჩენენ იტალიელნი. რაც შეეხება რუსეთს, ვინ არ იცის, რომ მან პირველმა დაიწყო ზაფხულის კამპანია ავსტრიელთა წინააღმდეგ და მით საერთო ფერხულში ჩააბა თავისი მოკავშირენი.

მომეტებული ნაწილი სამხედრო მიმოხილვებისა იმ აზრისანი არიან, რომ მოკავშირენი დღეს საერთო გეგმას აწარმოებენ. დანამდვილებით ირწმუნებიან, ვითომ მათი მიზანია გაერთიანებულის ძალით, საერთო შეტევით მოუსპონ გერმანელებს ჯარების გადაყვან-გადმოყვანის საშუალება და ამ რიგადაც ყოველ ბრძოლის ასპარეზზე მართლაც გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოვონ.

თუ რამდენათ მართალია ასეთი შეხედულობა ამას მალე შევიტყობთ. ერთის შეხედვით კი, თითქოს მართლაც მოკავშირენი შეთანხმებით მოქმედებენ და მათი განზრახვაა საერთო შეტევით გაათავონ დღევანდელი სისხლის ღვრა. ამის დამამტკიცებელია, ვიმეორებთ, ერთის მხრით, ფრანგების და ინგლისელების შეტევა, იტალიელების იერიშები, და რუსეთის კომპანია. მაგრამ აქვე არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ გერმანელების მოქმედებაც; მდგომარეობის დაფასების დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს გერმანელების მოქმედებაც. მიიღეს მათ შესაფერისი ზომები, ან და შესცვალეს თავიანთი სამოქმედო გეგმა!! აი სწორედ ამ გვარ ნიშნებს ჩვენ ვერ ვხედავთ. პირიქით გერმანელები თითქოს უფრო გალომებული აწვებიან ვერდენს. საფრანგეთის გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გვაცნობებს, რომ გერმანელებმა დიდძალი ჯარით იერიში მიიტანეს ტიომონის სიმაგრეზე და ახლა უკვე მეოთხეთ აიღესო.

აღსანიშნავია აქ ერთი გარემოება. ტიომონის სიმაგრე ხელიდან-ხელში გადადიოდა, ფრანგებმა სამჯერ გამოგლიჯეს ეს დიდებული სიმაგრე გერმანელებს, მაგრამ ბოლოს მაინც უკანასკნელნი დაეპატრონებიან. თუ რა დიადი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ სიმაგრეს, ჩვენ წინად უკვე მივაქციეთ მკითხველის ყურადღება. ამ სიმაგრეს დაკარგვით ვერდენის ბედიღბალი უფრო მეტად მწვავდება და ვინ იცის, შესაძლოა, სულ მოკლე ხანში სამუდამოდ კიდევაც გადასწყდეს.

ამავე დროს გერმანელები და ფრანგები ისევ საერთო შეტევას განაგრძობენ და როგორც ოფიციალად გვამცნობენ საერთო მდგომარეობა მათს ხელსაყრელად მიმდინარეობს. ამავე დროს გერმანელები ვერდენს არ ეშვებიან და უფრო მეტის სიმკაცრით გარს ერტყმიან. რა ზომებს მიიღებს გერმანეთი, როგორ დაუხვდება მოკავშირეთა შეტევას დასავლეთ ბრძოლის ასპარეზედ ჯერ-ჯერობით ამისი გაგება ძალიან ძნელია.

რუსეთის ბრძოლის ასპარეზზე გამწვარებული ბრძოლაა ბარანოვიჩის, ლუცკის და ლუპის რაიონებში. უეჭველია ამ დიად ბრძოლის შედეგსაც სულ მოკლე ხანში გავიგებთ.

X.

ომის დეპეშები

შვაღლეს გთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 22 თიბათვე. დასავლეთი ასპარეზი. ქვემო სტირის დასავლეთით, სტირსა და სტოხოდოს შუა და სამხრეთით ქვემო ლიპის მიდამოებამდე ყველგან სასტიკი ბრძოლაა. ვულკა გალუზის მიდამოებში ჩვენ სამი წყება მავთულის ხლართი გავარღვიეთ, რომლებიც ფუგასებით იყვნენ გამაგრებულნი. მდ. სტირის მიდამოებში კოლკის დასავლეთით მკაცრ ბრძოლის დროს მტერი უკუ ვაგდეთ. აქ ხელთ ვიგდეთ 5,000 ჯარის კაცი, 370 აფიცერი, 3 ზარბაზანი, 17 ტყვიის მფრქვეველი, 2 პროჟექტორი და რამდენიმე ათასი თოფი. აქ საპიორებმა ჯარს ბრძოლის დროს დიდი დახმარება აღმოუჩინეს. ზატურცის ჩრდილოეთით და ვოლი სადოვოს მიდამოებში ჩვენმა ჯარმა დაიპყრო მტრის თხრილების პირველი ხაზი. შკლინაზე მტრის იერიში არტილერიით შევაჩერეთ. ქვემო ლიპის მიდამოებში მტერი მკაცრი იერიშით მოვიდა, მაგრამ უშედეგოთ. სტირზე გადასული მტრის ჯარზე ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა და უკან დასწია. დავატყვევეთ 7 აფიცერი და 257 ჯარისკაცი, წამოვიღეთ 20 ტყვიისმფრქვეველი. გალიციის ასპარეზზე კარპატებთან საარტილერიო ბრძოლაა. მტრის მარცხენა ფრთას უკან დავახევინეთ. კოლომია-დელატის ხაზით ბრძოლით სოფ. საძავკა ავიღეთ. ხიშტებით ბრძოლის შემდეგ დავატყვევეთ 9 აფიცერი და 300 ჯარისკაცი, წამოვიღეთ 2 ტყვიისმფრქვეველი. რიგის სრუტესთან მტრის მფრინავმა ჩვენ გემებს ყუმბარა დაუშინა, რომელიც ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს. მტრის მფრინავი და მემანქანე დავატყვევეთ. მეორედ მფრინავთა ბრძოლის დროს გერმანელთა მეორე მფრინავი ზღვის ნაპირზე ჩამოვაგდეთ. ჩვენ დაგვეღუპა ერთი მანქანა, გმირულად დაიღუპა მფრინავი პორუჩიკი იზვენოვი და მემანქანე უაზაროვი. რიგის და დვინსკის მიდამოებში გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა. დ. გადუციშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ მტერი უკან დავწიეთ ტყიდან. ჩერნუშკის მიდამოებში (სმორგონის ჩრდილოეთით) ჩვენმა ჯარმა მტრის ადგილები დაიჭირა. ბერეზინის აღმოსავლეთით ჩამოვაგდეთ მტრის მფრინავი, რომელსაც ცეცხლი მოედო და ქ. ვოლოჟინის ღასავლეთით ჩამოვარდა. მფრინავი და მზვერავი დავატყვევეთ. ბარანოვიჩის ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება, ზოგან მტრის თხრილები ხელთ ვიგდეთ სად. სკობელევევზე (ბარანოვიჩის სამხრეთ-დასავლეთით) ჩვენი ჰაერის გემი გამოჩნდა.

შავი ზღვა. 21 თიბათვეს, დილის 4 საათზე მტრის გემმა „გებენმა“ ქალაქს და ნავთსადგურ ტუაპსეს სროლა აუტეხა, სამგზავრო გემი „კნიაზ აბოლენსკი“ ჩასძირა. ამავე დროს „ბრესლაუმ“ სოჩს დაუშინა. დღის 6 საათზე გემები სამხრეთით დაიმალნენ.

კავკასიის ასპარეზი. ბაიბურთის აღმოსავლეთით ჩვენ მტრის სასტიკი წინააღმდეგობა ვძლიეთ, წინ წავიწიეთ და გავმაგრდით. ოსმალთა კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ.

პეტროგრადი, 22 თიბ. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. ვულკა გალუზის მიდამოებში მტერი კონტრ-იერიშით შეჯგუფული წამოვიდა, მაგრამ მოვიგერიეთ. კონტრ-იერიშის დროს სოფ. კოსტიუხოვკასთან მტერი 100 ნაბიჯზე მოუშვით, შემდეგ იერიშით შევხვდით. მტრის წინა ნაწილი შევმუსრეთ. დავატყვევეთ 2 აფიცერი და 257 ჯარის კაცი. ახალ მოსული ცნობით დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მტერი გავდევნეთ დ მისი სიმაგრე ისაკოვ-ჟივაევი დავიჭირეთ. რამდენიმე ასი ჯ.-კაცი დავატყვევეთ. დელიატინ-კოროსმეზოს რკინის გზის შუა სოფ. მიკულინი ავიღეთ. რიგის მიდამოებში ზოგ ადგილას ჩვენი მტრის თხრილებში შეიჭრა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და იარაღი. გერმანელები კონტრ-იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ ზარბაზნის სროლით მოვიგერიეთ. ბარანოვიჩის ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. ახალი ცნობით კიდევ დავატყვევეთ 1000 ჯარის კაცი და 27 აფიცერი. გუშინ მინსკში მტრის მფრინავებმა 31 ყუმბარა ჩამოაგდეს, დაიჭრნენ 3 მამაკაცი, 7 დედაკაცი და ბავშვი.

კავკასიის ასპარეზი. ჩვენმა ჯარმა, რომელმაც ჰოროხის მიდამოებში შეუტია, ხელთ იგდო მრავალი თოფი და ყუმბარები.

—

პარიზი, 21 თიბათვე. ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით და სამხრეთით ღამემ მშვიდათ ჩაიარა. ფრანგები დაბყრობილ ადგილებში მაგრდებიან. გამოირკვა რომ ფრანგებს უფრო მეტი დავლა დარჩათ. კიდევ წამოვიღეთ 3 ბატარეია, ამათში 1 დიდი ყალიბისა. გერმანელები ძლიერ დაზარალდნენ, განსაკუთრებით ერდეკურის ჩრდილოეთით. ავრსა და ენს შუა ფრანგთა მზვერავნი შეიჭრნენ მტრის თხრილებში და ტყვეებით დაბრუნდნენ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის ჩრდილო-დასავლეთ სიმაგრეებთან მკაცრი ბრძოლაა. აქ გერმანელებმა ექვსჯერ მოიტანეს უშედეგო იერიშები. ფიუმენის ტყის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრანგებმა ღამის განმავლობაში წინ წაიწიეს. ზემო ელზაში ასპაკის ჩრდილოეთით გერმანელების იერიში მოვიგერიეთ.

პარიზი. 21 თიბათვე. ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით მთელმა დღემ მშვიდად ჩაიარა. სომის სამხრეთით მიუხედავედ ცუდი ამინდისა ჩვენ წინ წავიწიეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით და ტყე და სოფ. ბელუა-სან-ტერი ჩვენ დაგვრჩა. მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურთან და „304“ მაღლობთან საარტილერიო ბრძოლაა. მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა გააძლიერეს ჯარი და გააცხოველეს საარტილერიო სროლა. მეოთხე იერიშის დროს სიმაგრე ტიომონი დაიპყრეს. დამლუ და ლალოფთან მტერმა საარტილერიო ბრძოლა გააცხოველა. აქ ჩვენი მფრინავებიც ამოქმედდნენ.

პარიზი, 22 თიბათვე. ოფიციალი. სომის დასავლეთით ფრანგთა შეტევა განახლდა და კიურლიუს აღმოსავლეთით გერმანელთა თხრილები დავიჭირეთ. სომის სამხრეთით ფრანგები წინ იწევენ. გერმანელებმა საარტილერიო სროლის შემდეგ იერიში მიიტანეს ბელუა-სანტერზე დ აიღეს კიდეც, მაგრამ ფრანგებმა ეს ადგილი უკანვე დაიბრუნეს. დ. ესტრეს ნაწილი გერმანელებს კვლავ ხელში უჭირავთ; აქ ბრძოლა გრძელდება. ავოკურის და „304“ მაღლობთან გერმანელებმა მკაცრი იერიში მოიტანეს, მაგრამ უშედეგოდ. გერმანელები ძლიერ დაზარალდნენ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის სიმაგრეებთან სასტიკი ბრძოლა გრძელდება.

რომი, 21 თიბათვე, ოფიციალი. ადიჯესა და ტერა-ანოლას შუა მთელი დღის განმავლობაში მკაცრი საარტილერიო ბრძოლა იყო. ჩვენმა ჯარმა ცანოლი დაიჭირა. სხვა ადგილებშიც წინ იწევს.

ბორკოლე და მონტე-ტორარესთან მტრის მკაცრი წინააღმდეგობა ვსძლიეთ და წინ წავიწიეთ. სეტეკომუნასთან ხელჩართული ბრძოლაა. ჩვენმა ჯარმა სეისერა, ფელა, ზეებანა და ჯიალიცაზთან წინ წაიწია. იზონცოსთან ჩვენმა არტილერიამ მკაცრი საარტილერიო სროლა ასტეხა.

ლონდონი. 21 თიბათვე, ოფიციალი. ლაბუასელ და ტიოპვალის სამხრეთით შუადღის შემდეგ ბრძოლა გაცხოველდა. მტერმა კონტრ-იერიშით ჩვენი ჯარი უკან დასწია. სხვა ადგილებში მტრის კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. ზოგ ადგილას წინ წავიწიეთ. ტყვეთა რიცხვი 4 300 კაცს აღემატება.

ქურნალ-გაზეთებიდან

ინგლისის ასპარეზი საფრანგეთში.

პარიზიდან დეპეშით იტყობინებიან: ინგლისის არტილერია მკაცრად უშენს გერმანელთა თხრილებს. ბრძოლა ცხოველდება და არა ჩვეულებრივ ხასიათს იღებს. ბრძოლის ველიდან 40 ვერსის მანძილზე სახლებში შუშები ზრიალებს. ცის კიდე ღამღამობით ცეცხლის ალშია გახვეული. ყუმბარების აფეთქების გამო ცა ბოლით არის მოფენილი. ბრძოლამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო იპრ-ალბერის ხაზზე 7 ვერსის მანძილზე შვეიცარიის გაზეთების ცნობით ინგლისელებმა მკაცრად შეუტიეს კამბრე, დუე, ლილსა და კურტრეს შუა. ინგლისის ჯარი მზად არის მკაცრი ბრძოლისათვის. ამ ასპარეზზე ინგლისელები დიდძალ საომარ მასალას ხარჯავენ, გერმანელები კი ზარბაზნის ყუმბარებს უფრთხილდებიან.

ჩრდილოეთ საფრანგეთი.

„ბირჟ. ვედომ.“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: მოკავშირეებმა დემონსტრაციების შემდეგ მოახერხეს მტრის პირველი როგის თხრილების გარღვევა.

ბრძოლა გრძელდება. შედეგები ამ ადგილას რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვევა თვით ის მოვლენა, რომ მოკავშირეებმა ჩრდილოეთ საფრანგეთში შესძლეს შეტევა, დიდ მნიშვნელოვან საქმედ უნდა ჩაითვალოს. როგორც ვიცით გერმანელებს ორ ადგილას შეეჯგუფებინათ ჯარი: ერთი ჩრდილოეთ საფრანგეთში, ხოლო მეორე ვერდენთან, ამ გვარად ჯარის განაწილება იმის მომასწავებელი იყო, რომ გერმანელთ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩრდილოეთ საფრანგეთში და ვერდენთან უფრო ძლიერ ერთსა და იმავე დროს ამოძრავებულიყვენენ. ეს ზრახვა მან სისრულეში ვერ მოიყვანა რადგანაც მოკავშირეებმა დაასწრეს, ინიციატივა ხელთ იგდო და მტერს თვით შეუტია.

მოკავშირეთა შეთანხმებული მოქმედება.

„რუს. სლოვოს“ ცნობით გენ. ვერო სწერს: ევრესთან დიდი ბრძოლა დაიწყო და რამდენიმე კვირა და თვე-

ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებენი

(ისტორიული ამბავი რუს-ქართველთა დამოკიდებულებიდგან)

(გაგრძელება. იხ. „საქართ.“ № 139.)

მაგრამ ცუდი საქმე მოელოდა ქართველ ჯარს. იგი ეხლა ხაფანგში მომწყვდეულსავით იყო, ამიტომ ახალციხის ფაშა ცას დაეწია, წათამამდა და იმედი ჰქონდა ერეკლე ეხლა ხელიდგან ვეღარსად წაუვიდოდა და ისე შეანანებდა ამ თავხედ შემოჭრას ოსმალეთში, რომ მთელს სიცოცხლეში არ დაივიწყებდა. ქართველთა მხედრობას მთლად განადგურებას უპირებდა, ხოლო თვით მეფეს ტყვეთ წაყვანას.

მართლაც მარტო დარჩა ერეკლე უცხოთა ქვეყანაში, ირგვლივ რკინის სალტესავით მტრით შემორტყმული, რომელსაც პირი დაეღო და ჩანთქმას უპირებდა. ალრიკის იმედი არა ჰქონდა ერეკლეს გარდა თავისის თავისა, საკუთარის გამოცდილებისა და გამბედაობა კი ეუბნებოდა, რომ ერეკლეს ხმალი დღესაც გასჭრიდა. მთელის სიცოცხლის განმავლობაში ერეკლე ხმალ-ამოწვდილი ებრძოდა მტერსა და ხშირად სულ მცირე რაზმით დაუმარცხებია მტრის ურდოები და ერთის ხმლის ამოღებით და შეტევით უკუ უქცევია. დღესაც ამის იმედი აქვს ერეკლეს, იცის არ უღალატებს თავისი ბასრი ხმალი. საჭირო იყო მხოლოდ მარდი მოსაზრება, ხერხი და განჭრიახობა, რომელიც არ აკლდა ერეკლეს და მისი ხმალი კვლავინდებურად მჭრელი იქნებოდა. ოც აპრილს აიყარა ერეკლე და ასპინძისაკენ გაემართა, მას უნდა მტერიც დაემარცხებინა და გზაც გაეკაფა ჯავახეთისაკენ, საითკენ ც კარგი გზები იყო და საქმარისი სურსათის შოვნაც შეიძლებოდა, თბილისში დაბრუნებულს ამ გზით, რომ ჩქარა ისევ დიდის ჯარებით და საკმარისის თოფ-ზარბაზნით ხელ-ახლივ გამოელაშქრა არალისაკენ. ასპინძიდან ჯავახეთისაკენ ორი გზა მიდიოდა ერთი ფართე და განიერი, ხოლო შორი, ხოლო ახალციხისაკენ მცირე ვიწრო მთა-გორიანი, ძნელი სავალი და ერთი ორად მოკლე პირველზედ ასპინძისაკენ. ერეკლემ უკანასკნელი ამჯობინა და აწყურიდგან რიკეთის გზით ასპინძისაკენ გაემართა.

ერეკლეს ჯარს ფეხდაფეხ დაედევნა ოსმალთა ჯარიც. აწყურიდგან დაიძრა თუ არა მეფე მაშინვე ნაწილი მეცხოვნე ჯარისა გამოვიდა და მოკლე გზით გაემართა ახალციხის ჯართან შესაერთებლად, რათა საკმარისის ჯარით გზა გადაეჭრათ ირაკლისათვის, ხოლო ამავე დროს ხერთვის-ახალქალაქიდგან მოდიოდა მკრე ჯარი. ეს ორთავე ჯარი ერთსა და იმავე დროს ორის მხრიდამ უნდა სცემოდა ერეკლეს და ნაცარ-ტუტად ექცია და ცივი სამარე გაეთხარა ბრძოლის ველზედ.

ცუდათ იყო ქართველების საქმე. საჭირო იყო მართლა ერეკლესავით შორს მჭვრეტელი და გამოცდილი სარდალი-სტრატეგი, რომ ჯარი ეხსნა საშინელსა და და უცილობელის განსაცდელისაგან და სრულის განადგურებისაგან. ეს შესძლო ერეკლეს გენიამ.

ჯერ კიდევ ერეკლეს ჯარი არ იყო მიახლოვებული ასპინძს, იგი ჯერ კიდევ იდუმალს მიდამოებში იყო, სადაც ერთის მხრივ უშველებელი, გარდუვალი მთა არის აღმართული, ხოლო მეორეს მხრივ მშფოთარი მტკვარი და მათს შუა ვიწრო დაცემული ადგილი. აი ამ ადგილს უახლოვდებოდა ერეკლე. გზის სივიწროვისა გამო ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილი ჯარისა გამოსულიყო ბარათ, რომ უცებ გამოჩნდა ხერთვის ახალქალაქიდგან წამოსული ჯარი, რომელიც ორი ათასზედ ნაკლები არ იქნებოდა და რომელიც შესდგებოდა არნაუტებისაგან, ლელი-გზებისაგან, ლეკთაგან და სხვა მოდგმის ხალხთაგან. ერეკლემ აღარ აცალა მტერსა, საჩქაროდ გაუთანასწორდა და რჩეულის მხედრობით მიესია მათ, შეიქმნა ფიცხელი, საშინელი და მედგარი ომი. თაეკანწირულად იბრძოდა მოწინააღმდეგე და ბრძოლის ველს არ უთმობდა ქართველებს. ქართველობა ჯერ კიდევ სრულიად არ გამოსულიყვენენ ვიწროსა და გორაკიანს გზებიდან, მტერი კი აწვებოდა საშინელის სისწრაფით. ქართველთა ჯარი შედრკა, უკან დახევა დაიწყო. მაშინ მეფემ მუქარე ხმით შეუტია მტერსა, თვით გავარდა წინა და „მცირედითა მით ეკვეთა ძლიერად და ძალითა ღვთისათა აოტნა ოსმალნი“. მაშინ ჯარმა ძალა მოიცა, მეფის მაგალითმა გაალომკაცა და ისეთის ძალღონით შეუტია მტერსა, რომ იგი იძულებული იყო ფიცხლავ მიეტოვებინა ბრძოლის ველი. ლტოლვილს მტერს სდევნიდნენ ქართველნი, ფეხდაფეხ მისდევდნენ, სჩეხავდნენ, ჰკუწავდნენ და უწყალოდ ჰხოცავდნენ ყველა იმას, ვინც კი ვერ მოასწრო და თავს ვერ უშველა.

მაგრამ ჩქარა გამოირკვა, რომ ეს თითქმის ავანგარდი იყო ოსმალეთის ჯარისა და ქართველებს ჩქარა ოსმალთა დიდ ჯარებთან მოუხდებოდათ შეხლა. ახალციხის მხრით დიდძალი შეერთებული ოსმალ-ლეკთა ლაშქარი მოდიოდა, უკვე მტკვრის ხიდზედ ასპინძასთან მდებარეზედ გამოდიოდა და შავის ღრუბელივით წინ მოიწევდა. ოსმალთა ლაშქარი ათი-ათასს აღემატებოდა [1]). ღამდებოდა, ერეკლემ თანდათან უკან დაიწია და მარჯვე ადგილები დაიჭირა მთებსა და გორაკებში და ქვა-კლდეს ამოაფარა თავისი ჯარი. მტერმა ივ ღამეს ვეღარ მიიტანა იერიში ქართველებზედ. საშინელება იყო ეს ღამე. ქართველობა სულგანაბული და გატრუნული ეგებებოდა მეორე დილას, ემზადებოდა ფიცხელისა და მედგარის ომისათვის, ყოველ თადარიგს იჭერდა წინდაწინვე და ემზადებოდა განსაცდელისათვის. ღამითვე ერეკლემ გაჰგზავნა სამნი რჩეულნი: ერისთვის შვილი აღაბაბა, სვიმონ მუხრან ბატონის შვილი ნასაღჩიბაში და ხუდია ბორჩალოელი, რომელთაც მტრის შეუმჩნევლად უნდა განევლოთ, ასცდენოდნენ მის ბანაკს, მიჰპაროდნენ ასპინძის ხიდს და ეცუარათ იგი. მეფის ბრძანება შესრულებულ იქმნა, ასპინძის ხიდი აჭყარეს მტრის შეუმჩნევლად და მალულად.

მტრედის ფრად ინათლა, მტერი დაირაზმა და ქართველთა ჯარისაკენ გამოსწია, მაგრამ მოუახლოვდა თუ არა თოფის მანძილზედ, უმალ ქვა-კლდეებიდგან თოფებმა იშუშეს და წინა წყება მიწაზედ გაერთხა. წინას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და სხვ. მტერს სრული განადგურება მოელოდა, ქართველები კი უვნებლად ისხდნენ ქვა-კლდეში და მტრის გასროლილი თოფი მხოლოდ ქვა-კლდეს ეხეთქებოდა და სხლტებოდა. გაბრაზებულმა მტერმა აღარ იცოდა რა ექნა, მან საჩქაროდ რაც ძალი და ღონე ჰქონდა წინ წაიწია და ხმალ და ხმალ ეკვეთა ქართველებს. გადაურივნენ ქართველებიც, გამოვიდნენ თავიანთი საფრებიდან და შეიქმნა ხელჩართული ომი. ერეკლემ პირველი მაგალითი უჩვენა თავის ჯარს. მეფემო, ამბობს მატიანე, „გასწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდილამდე და იყვნენ ყველანი მეფისა თანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი. მეფეს თან გაეღევნა საფარებიდან გამოსული ქართველთა ლაშქარი და ხმალ და ხმალ ეცა ოსმალებს. დაწინაურებულ მეფეს წინ გამოეგება კოხტა ბელადი, წინამძღოლი სახელგანთქმული გმირი—ხეხადარი ლეკებისა და ფიცხლავ ეცა მეფესა. ერეკლემ ხერხიანად აიცდინა მისი მოქნეული ხმალი და სამაგიეროდ თვით ისე ძალუმად მოახვედრა ხმალი შიგ თავში, რომ კოხტა თავგაჩეხილი ცხენიდან გადმოვარდა და უშხედროდ დარჩენილმა მისმა მერანმა მტრის ლაშქარს მოჭფინა საზარელი ამბავი. ქართველები ამ გარემოებამ ძალზედ გაამხნევა და გალომებულები ეცა მტერს. შეიქმნა საშინელი და შეუპოვარი ხელჩართული ბრძოლა. ქართველებს დღეს უნდა დაემტკიცებინათ, რომ მიუხედავათ ტოტლებენის მუხანათობისა და ურცხვი ღალატისა, შეეძლოთ მტრის ჰასუხის გაცემა თავისის ძალ-ღონით. ქართველები აღარ ისვენებდნენ, ისე გააფთრებულნი იბრძოდნენ და ისეთის დაჟინებით ეკვეთებოდნენ მტერს, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთი და მუსრი შეჰქონდათ მტრის ლაშქარში. არა ჩვეულებრივი იყო ეს ბრძოლა, სიკვდილ-სასიცოცხლოდ იბრძოდა ქართველობა, იმათ კარგათ ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ თუ მტერი სძლევდა, სრული განადგურება და მოსპობა მოელოდა. ეს გარემოება უფრო მეტს ძალსა და ღონეს აძლევდა მას. გეენია დატრიალდა ბრძოლის ველზედ, ბრძოლით გაფიქრებული და გაცოფებული ქართველები აღარაფერიგან აღარავის ინდობდნენ. მტრის დახოცილ გვამებზე თამამად გადადიოდნენ და წინ მიიწევდნენ. მაგრამ ნამეტანი საშინელება მაშინ დატრიალდა, როცა მცირე რაზმი ბატონიშვილის გიორგისა, რომელიც გაჭრვების დროისთვის იყო შენახული, გამოვიდა ბრძოლის ველზე და ახალის ძალით ეკვეთა მტერსა. ამ უკანასკნელს გარემოებას ვეღარ გაუძლო მტერმა, იმან ისეთი ღვთის რისხვა შეიტანა მტრის ბანაკში, რომ მტერი უეცრივ შედრკა და უკან დახევა იწყო. ქართველები გაორკეცებულის ენერგიით ეკვეთნენ უკან დახეულებს, იმათ ვეღარავითარი ძალა ვერ იკავებდა, ვერც მტრის რიცხვითი სიმრავლე და ვერც სხვა რამ. ოსმალნი უწყალოდ იხოცებოდნენ და იჟლიტებოდნენ.

შედრკა მტერი, საბოლოოდ ძლეული იქმნა. საჩქაროდ დასტოვა ბრძოლის ველი და ასპინძის ხიდისკენ გაექანა. მაგრამ აქ უფრო მეტი საშინელება დაემართა და ისეთი კატასტროფა დაატყდა თავსა, რომლის მზგავსსაც ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა. ხიდი მტკვარზედ როგორც ვიცით წინდაწინვე იყო აყრილი, გამარჯვებული ქართველობა მთელის ძალღონით აწვებოდა ლტოლვილს მტერს, იმას კი სხვა გზა აღარა ჰქონდა გარდა ასპინძის ხიდისა. ხიდს მიწოლილნი ოსმალნი შიშითა და ვაებით შეპყრობილნი აწვებოდნენ ერთმანეთს და წყალში ჰყრიდნენ. რკალივით ეხეთქებოდა გაალმასებული და გალომჯულებული ქართველობა, ოსმალეთის ხსნა აღარსით იყო, სიკვდილი, აუცილებელი წყალში და-

[1]) ნათიშვილის ჩვენებით ოცი ათასი იყო ოსმალთა ჯარი, იხ. Грамоты.

მირალმა ფონ-ტირპიცმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამ ბრძოლამ დაარწმუნა ყველა გერმანეთის სიძლიერეში ზღვაზედაც. ჰამბურგმა ჩრდილოეთ ზღვაზე გამარჯვება იდღესასწაულა. მრავალი სიტყვა ითქვა, სადაც აღნიშნავდნენ კრუპის სიძლიერეს ხმელეთზე, ხოლო ზღვაზე ჰამბურგისას, სადაც გემთა საამშენებლოა.]

საბერძნეთი.

ინგლისის ელჩმა, რომელიც საფრანგეთის და რუსეთის სახელითაც გამოვიდა, წარსულ ხუთშაბათს ზაიმისს მოსთხოვა, რათა საბერძნეთში ჯარის დემობილიზაცია 18 მკათათვეში მოხდეს და არა 18 მარიამობისთვეში, როგორც ეს ნათქვამია მეფის ბრძანებაში. საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეთა წინადადება მიიღო და ჯარის დემობილიზაციას 18 მკათათვეს მოახდენს.

სერბეთის ჯარი მაკედონიის ასპარეზზე.

ლონდონიდან იტყობინებიან: მოკავშირეთ სოლუნის ასპარეზზე 100,000 სერბეთის ჯარისკაცი გადაიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯარი სულ ზღვით გადაიყვანეს არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა. ეს ჯარი სოლუნში ოთხი კვირის განმავლობაში გადასხეს, რომელიც დღეს მაკედონიაში იმყოფება. სერბებს ოთხი თვის განმავლობაში კორფუს კუნძულზე კარგად შეუსვენიათ და მზად არიან ბრძოლაში ჩაერიონ, როგორც კი ბალკანეთში საერთო შეტევის ბრძანება გამოვა.

დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

რუსეთის ასპარეზზე. მდ. სტირსა და სტოხოდოს შუა, მკაცრი ბრძოლაა. აქ რუსებმა ტყვები წამოიყვანეს.

—

ბარანოვიჩის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

—

საფრანგეთში. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის სიმაგრეებთან მკაცრი ბრძოლაა.

—

გერმანელებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ ტიომონის სიმაგრე აიღეს.

—

იტალიის ასპარეზზე. ადიჟესთან და ტერა—ანოლასთან საარტილერიო ბრძოლაა. იტალიელები ზოგან წინ იწევენ.

—

შავი ზღვაზე. „გებენი“ და „ბრესლაუ“ გამოჩნდნენ, რომლებმაც ტუაპსის და სოჩის ყუმბარები ესროლეს.

—

უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფო საბჭოს მუშაობა 22 თიბ. 1 გიორგობისთვემდე შესწყდა.

ახალი ამბავი

✦ **მეფის ნაცვლის საბჭოში.** 22 თიბათვეს მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის გენ.-ლეიტ. თ-დ ვ. ნ. ორლოვის თავმჯდომარეობით შესდგა კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა სოხუმის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა ეგრედ წოდებულ „მატროსკაია სლობოდკის“, ზომით 350 დესეტინა, და „ტრაპეციის“, ზომით 6 დესეტინა, მიწების გადაცემის შესახებ ქალაქის განკარგულებაში, რომელიც ყოფილ კავკასიის მთავარმართებლის თ-დ გოლიცინის დროს ჩამოერთო ქალაქს. საქმის შემდეგ ყოველ მხრივ განხილვისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა თვით სოხუმის ქალაქის თავი თ-დი ნ. ყ. თავდგირიძე მეფის ნაცვლის საბჭომ ერთხმად გამოსთქვა ის აზრი რომ მიწები უნდა ჩამორთმეულ იყოს სამხედრო უწყებისაგან და გადაეცეს ქალაქს. ქალაქსვე მიენდო მეზღვაურთა და მეთევზეთ მიუზომოს ამ ადგილებიდან 50 დეს. მიწა საცხოვრებლად ნაოსნობის და მეთევზეობის განსავითარებლად.

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვალს წარუდგა ისპანიის ახლად დანიშნული გენერალ-გუბერნატორი პრინცი ზილი სულთანი რომელიც სადილზე იქმნა მიწვეული მის უმაღლესობის მიერ.

— საქართველოს ექსარხოსი პლატონი სადარბაზოდ იყო მეფის ნაცვალთან.

✦ **გზათა უწყების ოლქთან** დაწყებული 16 ამა თიბათვეს თათბირი უკვე დამთავრდა. თათბირი შეეხო იმ გზების გაყვანასა რომელიც საჭიროებას მოითხოვს საომარ დროის გამო. თათბირში მონაწილეობას იღებდა სოხუმის ქალაქის თავი თ-დი ნ. ყ. თავდგირიძე. დადგენილ იქმნა სამხედრო—ოსეთის გზის გასაყვანად გადაიდოს 120 ათასი მანეთი, ბაღდად — აბასთუმანის გზისათვის— 70 ათასი მანეთი. თანახმად თ-დ თავდგირიძისა შუამდგომლობისა შეწყნარებულ იქმნა სოხუმის ცენტრალურ ხიდის გაფართოვების შესახებ მდ. ბესლედკაზე—და გიორგიევის ქუჩის გაფართოვებაზე ათონის მონასტრის გზატკეცილამდე. გადაწყდა აგრეთვე ქუთაისის ცენტრალ ბალახანის ქუჩა მოიკირწყლოს გზათა ოლქის უწყების ხარჯით და გაკეთდეს ხიდი მდ. ყვირილაზე სოფელ ბაღდადის მხრივ.

✦ **დეპ. სააგენტო იტყობინება,** გოფმეისტერ შტიურმერს იმპერატორისათვის წარუდგენია მეფის ნაცვლის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გენ. ინჟინერ კუჩინსკის მიენდოს **თბილისსა და კავკავის შუა ელექტრონის რკინის გზის გაყვანა.** იმპერატორს ბრძანება გაუცია ეს საკითხი დაჩქარებით განიხილონ.

✦ **მეთოდიური კურსები.** გუშინ 23 თიბათვეს, თბ. სასტატო ინსტიტუტში გაიხსნა კურსები თბ. გუბერნიის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებელ ქალთა და ვაჟთა მოკლე ვადიანი კურსები მეთოდიკისა, რუსულ ენისა, ისტორიისა, ბუნების მეტყველებისა და მათემატიკისა. კურსების გახსნის წინ სკულის მოძღვარმა დეკ. ნ. თალაკვაძემ მიმართა კურსების მსმენელთ სამწყსოსაპედაგოგიო შინაარსის სიტყვით. პარაკლისის შემდეგ სამოსწავლო ოლქის ინსპექტორმა ა. ი. სლოვინსკიმ გახსნა კურსები და აუხსნა იქ დამსწრეთ კურსების მნიშვნელობა. კურსების გამგე—სასტატო ინსტიტუტის დირექტორია ბ-ნი დ. დ. მუჩკაპსკი, ხოლო ლექტორებად ინსტიტუტის მასწავლებელნი. კურსებზე გამოცხადდა 40 მსმენელი. კურსები გასტანს ორ კვირას.

✦ **პ. მ. ანდრონიკაშვილის ცხედარი.** ბრძოლის ველზედ სახელით გარდაცვლილ თ-დ პ. მ. ანდრონიკაშვილის ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს. ხვალ დილით განსვენებულს წაასვენებენ ს. ქოდალოში, საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად.

✦ **პურის უშოვრობა.** თბილისში ეს ორი დღეა პური კვლავ ნაკლებ ცხვება იმის გამო რომ ქალაქში ფქვილი ნაკლებ შემოდის. ნაცვლად 15 ვაგონისა რომელიც ესაჭიროება ქალაქს 5 ვაგონი მოდის.

✦ **ფქვილის რეკვიზიცია.** ქალაქის გამგეობამ თბ. მსხვილ მეფქვილეებს არვანიანცს, ვარუნცოვს და სხვებს ფქვილი ჩამოართო და მეთორნეებს გადასცა გამოსაცხობათ.

✦ კვირას 26 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია კუკიის წმ. ნინოს უბნის უფასო ბიბლიოთეკა წიგნთსაცავის წევრთა წლიური საზოგადო კრება. განსახილველია: 1) გამგეობის და თავმჯდომარის მოხსენება; 2) 1915 წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა; 3) ახალი გამგეობის, სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატების არჩევნები. კრება გაიმართება სამკითხველოს ბინაზე (ნორიოს აღმართი, № 11).

✦ გამოვიდა ანგარიში კ. ი. ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ წარმოდგენების მმართველი წრის 1915—1916 წ. მოქმედებისა. წევრებს შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე საღამოს 4—7 საათ. წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102 და „ალორძინებაში“—ვაგზალთან“.

✦ კვირას, 24 თიბათვეს ხარფუხის საზოგადო კლუბში მუსულმანთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ოპერეტტა არშინ-მალ-ალან. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

✦ **მელიტონ გოგჩიას გარდაცვალების წლის თავი.** ტანჯულ-წამებულის ლიტერატორის მელიტონ გოგჩიას ხარკოვის საკატორღო ციხეში გარდაცვალებიდან წლის თავზე მუხლს-ვიური ი მის პატივსაცემლად და სახსოვრად მისები წამებულნი ოთხ-კედლებში მყოფნი ქართველი კატორღელები. მელიტონის ხსოვნა წაუშლელი იქნება ჩვენს დაკოდილ გულში. სალამი მშობელ მხარეს.

ქ. ორიოლის საკატორღო ციხეში მყოფ ქართველ კატორღელების მონდობილობით **პლ. ოხრობელი.**

✦ **კავკ. საბრეშუმო სადგურთან** მოწყობილ მეფუტკრეობის კურსების მსმენელნი კვირას 26 თიბათვეს მიემგზავრებიან მცხეთას დეკ. ალ. ჯალიაშვილის სამაგალითო ფუტკრის გაშენების საქმესთან გასაცნობად.

✦ **„ქართლის“** ამხ. ცნობით თბილისის ბაზარზე ხილისა და ბოსტნეულის მაზანდა დაახლოვებით ასეთი იყო: „შპანსკის“ ბალი ფუთი 10 მან., შავი სმაროდინა 7 მან., ვაშლი 3 მან. 50 კ. და 3 მან., მსხალი 3 მან. 50 კ. და 3 მ., ატამი 6 მ., პამიდორი 3 მ., კიტრი ასი ც. 2 მ. 20 კ., კომბოსტო ფ. 70 კ., ხახვი 3 მ. 50 კ.

თელავი.

თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის 7 კლასი დაამთავრეს: სალომე ავალიშვილმა, თამარა ანდრონიკაშვილმა (ოქროს მედლით), ნინო ბერიაშვილმა, ელენე ვაჩნაძემ, ელისაბედ ვაჩნაძემ, მარიამ გალავანოვმა (ოსი), ნინო გულვერდაშვილმა, ნინო გულვერდაშვილმა, ნინო ჯორჯაძემ, ბარბარე ჯორჯაძემ, სოფიო კურდღელაშვილმა, სარა ქურციკაშვილმა, (ვერცხ. მედლით), ქეთო ლაზიაშვილმა, ნინო მაყაშვილმა, თამარ მაყაშვილმა, მარიამ თუშიშვილმა, ნინო ხუციშვილმა, ნინო ჭავჭავაძემ და ბარბარე ელიოსიძემ; 8 **კლასი:** თამარ იმნაიშვილმა, თამარ იმერლიშვილმა, ელისაბედ ჩიკვაიძემ, თამარ გომელაუროვმა, ანნა ჯანიკაშვილმა, მარიამ ჯანდიერმა, ელენე სულხანიშვილმა, ნინო თავაძემ, თამარ ტოროშელიძემ, სოფიო ჩიოლელმა და თამარ შავლიაშვილმა.

დ. სურამი.

კვირას, თიბათვის 19-ს დიდის ამბით გაიხსნა სურამის უმთავრეს ქუჩაზედ ქართ. ქალთა **„მანდილოსნის“ ხაჩაი.** დღესასწაულზე მოწვეულნი იყვნენ მრავალი სტუმრები. უკრავდა სამხ. მუსიკა. ორ საათზე დაიწყო შენობის კურთხევა-პარაკლისი, რის შემდეგაც „მანდილოსნის“ თავმჯდომარემ ქ-მა ქებაძისამ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. „მანდილოსანს“ სიტყვით მიულოცა დეკანოზმა იოსებ ბებიაშვილმა. სიტყვა წარმოსთქვა ხარჯთამკრეფმა ინსპექტორმა ბ-ნმა სტანილავ მოიევსკიმ. ამის შემდეგ სტუმრები საუზმეზე მიიწვიეს.

✦ **მეფუტკრეობის სწავლება.** თანახმად უწმ. სინოდის მოწერილობისა საქართველოს საექსარხოსოს ყველა სამრევლო სკოლებში უნდა შემოღებულ იქმნეს სწავლება მეფუტკრეობისა და სკოლებთან მოეწყოს სამაგალითო ფუტკრის გაშენება.

საზიზღარი მკვლელობა

14 ამ თვეს, 11—12 საათზე, დიდი უბედურება დატრიალდა სოფელ სვეტმაღალში (როდინოული, ქუთ. მაზრა). ამ სოფელში მცხოვრებ გლეხებს: პორფილე და ივანე (ვანო) მაღლაკელიძეებს შორის გაჩაღებულა დავა-საჩივარი. პირველმა თურმე მეორეს დასწამა ვენახის ქურდობა, მაგრამ უკანასკნელმა თავი იმართლა და კიდეც დაადვა გადასახადათ ზარალი 50 მანეთი. აქედან 2—3 წლის განმავლობაში დღითი-დღე იზრდებოდა სულ სხვა და სხვა უსიამოვნება და ბოლოს იმ ზომამდე მივიდა მომჩივანი პორფილე მაღლაკელიძე, რომ მოპასუხე თავის ცოლ-შვილით ამოჟლიტა. აი როგორ ყოფილა საქმის ვითარება: როგორც დანამდვილებით გადმოსცეს, მომჩივანს თავის ცოლ-შვილი სხვაგან გაუხიზნია ერთი კვირის წინათ და მოხუცი მამა კი ტყეში გაუგზავნია შეშის მოსაჭრელათ. თვითონ გაულესია ცული და თავის ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანას შესდგომია. სწორეთ ზემოთ აღნიშნულ რიცხვს კიდეც მიუღწევია მიზნისათვის. ამ დღეს თურმე მუშაობით მოღალულ-მოქანცული ცოლ-ქმარი ნასადილევს ტკბილ ძილს მისცემიან. და მათი ორი მცირეწლოვანი ბავში იქვე მდინარე ლუხუტაში ბანაობდნენ. გამხეცებულმა პორფილემაც მოიკრიბა ყოველივე ძალ-ღონე და მძინარ პირებზე მიიჭრა პირდაპირ. ახლათ ალესილი ცული ჯერ თავის ბიძაშვილს დაარტყა თავში და შემდეგ მის მეუღლეს კალინიკას; დასტოვა ორთავენი თავგანგმირული. დაბოლოს მოავლო თვალი მდინარეში მცირეწლოვან და-ძმას და გაეშურა მათკენაც. ჯერ 12 წლის ვაჟი ჩასჩეხა და შემდეგ 13—14 წლის ასულს შეუტია, მაგრამ შეამჩნია თუ არა გაშმაგებული ბიძა პორფილე, მაშინათვე გაიქცა, რომ თავი დაეხწია მისი ულმობელ ბრჭყალებისაგან, მაგრამ ამაოთ! მასაც წამოეწია და იგიც მსხვერპლი გახადა მოულოდნელ სიკვდილისა. ყველა ამაების შემდეგ არხეინათ გაუდგა გზას, მაგრამ შეიპყრეს და მთავრობას გადასცეს; მისი მსხვერპლნი კი 16 ამ თვეს მიწას მიაბარეს.

ისმაილის ნათლული.

სამძიმრის დეპეშები

ალ. ყიფშიძის გარდაცვალების გამო.

ბაშკაღუშკლიარი. ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ მე-288 გოსპიტალში მყოფ მოხელე ქართველებს გული დაგვწყვიტა. გულითადს სამძიმარს ვუთვლით განსვენებულის ჭირისუფლებს და ქართველ საზოგადოებას, რომელმაც დაჰკარგა ასეთი თავგანწირული მებრძოლი ქართველი ერის უფლებისა და ბედნიერებისათვის. დღეს გოსპიტალის მღვდელმა დავითაშვილმა გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად მლოცველთა თანადასწრებით.

ექიმი ღოღობერიძე

კახი. ცხარე ცრემლით დავსტირი საზოგადო მოღვაწისა და ჩემთვის ძვირფასი ადამიანის ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალებას.

ზ. ედილი.

თელავი. სოლო ჯანდიერი.

აბასთუმანი. კლდიაშვილი.

შორაპანი. ანიკო, სონა, ქაიხოსრო ყიფიანები.

ბათუმი. დ. შავიშვილი.

პრიუტი. უზომოდ დამწუხრებულნი ვერის ხეობის მთიელთა მრევლი და მღვდელი **ალექსანდრეს** მოულოდნელ უდროვოდ სიკვდილს. ვუერთებთ ჩვენს ცრემლებს მთელი ქართველი ერისას. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო ერთგულო მოსარჩლე და ჭირისუფალო ალექსანდრე!

მრევლის დავალებით მღ. მ. ყანჩელი.

ალექსანდრე ყიფშიძის დაფასება.

ეხლა მე არ შევეხები მის პიროვნების დახასიათებას და მის ნაღვაწლნაშრომის გამოკვლევას, მას სხვები უკეთ დაახასიათებენ.

მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო ადგილობრივი პრესის აზრი შესახებ დაუვიწყარი ალექსანდრე ყიფშიძისა.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ვინც ხალხისათვის და ერისთვის რეალურად, დადებით მუშაობს და მოღვაწეობს და დაბალ-ხალხის საჭიროებებს ემსახურება, მის სურვილებს ანხორციელებს, მას ნაკლებ ყურადღებას აქცევს პრესა და ვინც სიტყვით თუ ლექსით დაბალ ხალხს ამკობს, მას უმეტეს მნიშვნელობას აძლევს და ასეთებს მთელი თვეობით პრესა ღაღადებს.

ამით მე ის კი არ მონდა ვსთქვა, რომ იდეიურად გამსჭვალულნი პირნი პრესამ არ მოიხსენიოს,—არა! მე მინდა აღვნიშნო, თუ კი ალექსანდრე თევროოეს ძე ყიფშიძეს შესაფერ წერილებს არ უძღვნიდნენ, ეგ მათი სრული უფლებაა, მაგრამ ის კი შეუწყნარებელია, რომ განსვენებულზედ ისეთი რამ იწერებოდეს რაც ალექსანდრე ყიფშიძის ხსოვნას არ შეეფერება.

„თანამედროვე აზრი“ ამბობს: „ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე თავად-აზნაურების ინტერესების დამცველი იყოვო“.

ამასვე იმეორებს ფედერალისტების „ზვირთიც“.

ეს ხომ აშკარად შემცდარი აზრია ბ. სოციალისტებო, დასამტკიცებლად შეიარეთ ქართლის სოფლებში და გლეხები გეტყვიან, რა იყო მათთვის „საშა ყიფშიძე“.

შეიარეთ მტკვრის ხეობა, ადით ახალ ციხეში და იქ გეტყვიან, ვინ იყო ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე და იქ ნახავთ თქვენის თვალით დამწუხრებულ ქართველ მაჭმადიანებს, თუ რომ თქვენთვის სიტყვა „ქართველი“ რამეს წარმოადგენს.

გადმოიარეთ ახალქალაქის მაზრა და იგივე სურათს ნახავთ.

მიდით თრიალეთს, დაიარეთ გომარეთი, ყალამშა და გეტყვიან, როგორ სიყვარულით იგონებენ ალექსანდრე ყიფშიძეს. შეიარეთ ახლად დაარსებულ სოფელ მენქალისში, იცით, ვინ ცხოვრობენ? ჯავახეთელნი გადმოსახლებულნი ქართველები,—აგრეთვე ოსებიც და მოსთქვამენ: „აღარ გვყავს ჩვენი პატრონი, ჩვენი ბატონი, ჩვენი მამა ალექსანდრე“. ... დადებით და დაბლა თავის ... იგონებენ ალექსანდრე ყიფშიძეს.

არა გჯერათ?

აგერ წერილი მანგლისის მიდამოებიდან: „ძმაო! ძრიელ შევწუხდი ალექსანდრეს მოულოდნელი სიკვდილით, საწყალი ჩვენი გლეხები დაძმარებულან, აი, ესეც ჩვენი იღბალი იყოვო, იმედი აღარ აქვთ, რომ ეს მამული შეიძინონ. მართლაც უიმისოდ ძლიერ გაუჭირდებათ საქმე. ჩვენ კი დღე დღეზედ სასიხარულო ამბებს მოველოდით კომისიიდან და, დახე, რა მოხდა! თუ შეიძლებოდეს მოიწერეთ წერილი, როგორ წავა საქმე, ვის აირჩევენ მის მაგივრად, ესენიც დაინტერესებულნი არიან, ჩვენ ხომ იმისთანას ვერავის ვნახავთ და ვიშოვითო“. სოფ. პრიუტის მრევლის დავალებით მღვდელი მ. ყანჩაველი.

ან იქნება ბორჩალოს მაზრაში ჩაბრძანდეთ? სოფ. წერაქვში და სინში ნახავთ ქართველ დასახლებულ გლეხებს, ისინი გეტყვიან, რომ მილიონერი მანთაშევი მათ თავიანთ მკვიდრს საცხოვრებლიდან ჰყრიდა და მათ ბოგანოდ ჰხდიდა. დღეს კი ალექსანდრეს მეცადინეობით და მისი უნარით ვერ აჰყარეს და დღე'აც იქა ცხოვრობენ, მხოლოდ საქმე ჯერ არ დამთავრებულა და ეს საქმე მოითხოვს ყიფშიძესთანა ადამიანს. აბა ეხლა თქვენ ბ. ბ. თუ გული შეგტკივათ დემოკრატიულ ხალხისათვის, ეს საქმე დაუმთავრეთ მათ.

ეს მაგალითები თქვენთვის კმარა და თუ თქვენთვის მეზების, გლეხების ნამდვილი ინტერესები თქვენთვის რამეს წარმოადგენენ, მაშინ დამეთანხმებით, რომ ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე თავ. აზნ. ინტერესების დამცველი არ ყოფილა და თქვენ ამას უაჰყოფთ თქვენს გაზეთის ფურცლებზედ.

ესეც თუ არ გჯერათ, შეიარეთ ხევსურეთი და იქ გეტყვიან, რომ მათთვის ალექსანდრე დაუფასებელი იყო. მასთან ჩამოდიოდნენ და ადგილობრივ პოლიციის მოხელეებისაგან შეწუხებულნი მას დახმარებას სთხოვდნენ: „ჩვენი ალექსანდრე გვიპატრონესო“.

თუ ხევსურეთში დაგეზარებათ ასვლა, შეიარეთ „საქართველოს“ რედაქციაში და წაიკითხეთ დეპეშა: „ხევსურნი ვგლოვობთ ჩვენი მფარველის დაკარგვას: განსვენებულის მეცადინეობით დავსახლდით თელავის მაზრაში. გვიან გავიგეთ სამწუხარო ამბავი. ვნანობთ, რომ მის დაკრძალვას ვერ ვეწრობით“. 60 ხევსურნი ხელს აწერენ.

აბა, ახლა დიდმელების წერილი წაიკითხეთ: „დიდებულ მამულიშვილს და ქართველ ხალხის ძომაგე ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძის სიკვდილმა ძლიერ დაგვ ღონა. იგი თავისი კეთილ სინიდისიერი მუშაობით და ხალხის სიყვარულით მთელი ერის სიამაყე შეიქნა, მეტადრე გლეხ-კაცობისა, რომელთა გულის პასუხი საფუძვლიანად შეიგნო და აკი სიკვდილამდის არაფერი დაზოგა მათ კეთილდღეობისათვის; კერძოთ კი ჩვენ დიღმის საზოგადოებას ამხანაგობათა „წოდორეთისა“ და „ვეძისისა“, რომლის მეცადინეობით მშვენიერი დიღმის ხეობა თავისი ტყით, სახნავ-სამოვრით უცხოთა ხელში არ ჩაავდო და შეგვაგნებინა თვისი ბრძნული დარიგებით უთუოდ შეგვეძინა და იგი დღეს ჩვენ ხელთაა 2,000 დესეტინაზე მეტი ქ. თბილისის ზურგზედ მიკოული მამული, რითაც დიდათ ვამ ყობთ და თვალცრემლიანი ვ გონებთ მის შარავანდედით მოსილ წმინდა სახეს. ვხდებით რა მონაწილენი მო ლოდნელი მწუხარებისა ნაცვლად გვირგვინებისა ვაძლევენ ხუთ თუმან ფულს მთელი გლეხკაცობის სათაყვანებელ ალექსანდრე ყიფშიძის სახელობის დასაარსებელ ფონდის სასარგებლოდ.

„წოდორეთის“ და „ვეძისისა“ ამხანაგობათა მონდობილობით **ეფრემ ხონდულაშვილი.**

დაბა-სოფლები

დ. ახალ-სენაკი ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე არა ერთხელ აღგვინიშნავს სენაკის ინტელიგენციის მიმდინარეობა და უმოქმედობა, მრავალჯერ დაგვისურათებია ის უშინაარსო ცხოვრება, რომელსაც მისცემია სენაკის საზოგადოება, მაგრამ ყოველი სამართლიანი ხმა ჩვენი მოწოდებისა დარჩენილა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მე მსურს პატივცემული მკითხველის ყურადღება კიდევ ერთხელ მივაქციო ამ დაბას, მის თვალთა წინაშე სავსებით გადავშალო შემაძრწუნებელი სურათი სენაკის საზოგადოების და კერძოდ ინტელი-

---

ხრჩობა პარპაშობდა ყველგან, წითელის სისხლით იღებებოდა ველ-მინდორი და დამხრჩვალთა სხეულებით ივსებოდა მდინარე. ერთის მხრით ქართველობა ავლებდა მუსრს ოსმალებს და რაც მათ ხმალსა რჩებოდა უწყალოდ იღუპებოდა მდინარეში. ოსმალთა საუბედუროდ მტკვარიც მაშინ, როგორც პირველს გაზაფხულზედ საშინლად ადიდებული იყო და მის ზვირთებს ვერავინ ვერა რჩებოდა, ყველას ნთქავდა და ქვეით მიაცურებდა, თავის ტალღათა შორის უთხრიდა მათ სამარეს. მტერთა სისხლითა და სხეულებით პირთამდის აივსო მტკვარი, ველარ იტევდა მათ. ქართველობა კი უფრო მძვინვარებდა და აღარავის ინდობდა.

საშინლად და უსასტიკესად დამარცხდა ოსმალთა მხედრობა. დამარცხდა კი არა მთლად გასწყდა და მოისპო. ბრძოლის ველზედ დარჩა არა ნაკლებ სამი ათასის დაჭრილ დახოცილისა. დანარჩენი წყალმა ჩანთქა და მხოლოდ 24—25 კაცმა უშველა თავსა და ოსმალეთს აცნობა საშინელი მარცხის ამბავი. უმრავლესობა კი მდინარეში დაიღუპა.

ამ ბრძოლაში გასწყდა მრავალი წარჩინებული და დიდებული ოსმალო: არტაანის ბეგი, ბაქირ ბეგი, შავშეთის ორი ბეგი, ახალციხის უწარჩინებულესნი პირნი გელა ფაშა, ქისგინ ბეგი, ემინ ბეგი, ტისკარელი მუსალიმ რაჯაბეგ, ახალციხელი ამადაგა და სხვა და სხვა წარჩინებულნი პირნი და დიდებულნი. ამ ომის მსხვერპლი გახდა ყაზი კუმუხის ხანის შვილი აჯი გირაი, რომლისთვისაც სულთანს ფაშობა მიეცა და ომლის ძვირფასად მორთული ოხრად დარჩენილი ცხენი ერეკლეს მიართვეს. დაიღუპნენ აგრეთვე ლეკთა მრავალნი ბელადნი, კოხტა, რომელსაც თვით მეფემ გაუგმირა გული, ომრა, უსუფა და სხვანი.

მტრის ზარალი აუარებელი იყო. ბრძოლის ველი სავსე იყო დახოცილ მხედართა ცხენებით, მათის სურსათით, ტყვია წამლით, თოფიარაღით და სხვა მასალით. ურიცხვ დავლათა შორის ქართველებს დარჩათ მტრის დროშანი, ვერცხლის კვერთხები და სხვა ძვირფასი განძეულობა.

აუწერელი იყო ქართველთა სიხარული, აუწერელი იყო ზეიმი ამ უმაგალითო ომის გამო, როდესაც მცირე ლაშქრობამ, რომელიც მოურავოვის მოწმობით სამ ათასს კაცს არ გასცილდებოდა, ოსმალთა ურიცხვს ურდოებზედ, რომელიც ისე უმოწყალოდ დამარცხდა და განადგურდა, რომ ხეირიანად ამბის მიმტანიც კი აღარავინ გადარჩა. სასიხარულო იყო მით უმეტეს, რომ ტოტლებენის ვერაგულის საქციელის შემდეგ მტრის სასაცილოდ არ გახდნენ. არ მიეშველა ტოტლებენი, არ მიეშველა იმერეთის მეფე სოლომონიც, რომელიც პირობისამებრ ახალციხის ახლოს უნდა შეერთებოდა ერეკლეს ლაშქარს და მიუხედავად ყველა ამისა სანაქებოდ გაიმარჯვა ამ უმაგალითო ომში. სასიხარულო იყო მით უმეტეს, რომ ერეკლეს დანაკლისი მეტად მცირე იყო, მოუკლეს 25 ჯარის კაცი, დაუჭრეს მძიმედ სარდალი ალექსანდრე ციციშვილი, იასე ერისთავი და ხუთიც კიდევ სხვა.

პატარა სოფელი ასპინძასთან, რომელიც მოწამე გახდა ერეკლეს საკვირველის გმირობისა და ქართველთა ჯარის მამაცობისა, დაისვენა ჯარმა მის ახლოს, შურით გაჰხედა ახალციხეს საქართველოს პირმშო შვილს და მის უძველესს კულტურის აკვანს და მწარედ ხელი ჩაიქნია. არ ძალუძდა მეფეს მარტოოდა თავისის ძალღონით ქალაქზედ გალაშქრება და მისთვის ალყის შემორტყმა. აგრე რიგად არ ახარებდა მეფეს ეს გამარჯვება, მთავარი მიზანი მიხწეული არ იყო, ახალციხეს, ძველს მესხეთს ისევ უნდა გასცლოდა, უნდა დაშორებოდა. დაღვრემილმა გადაჰხედა იქაურობას, შურით მიმოავლო თვალები და ზანტად, უგულოდ დასძრა ჯარები და ჯავახეთისაკენ გამოემართა, მით უმეტეს რომ ჯარები აღარ იცდიდნენ და სახლებისაკენ ეშურებოდნენ. ჯავახეთზედ უფრო უკეთესი სავალი გზები იყო, სურსათის შოვნაც ადვილად შეიძლებოდა და სახლშიაც ადრე მივიდოდნენ.

თბილისში კი ამ დროს საშინელება ტრიალებდა, ხმები გავრცელდა, რომ ერეკლე თავისის მხედრობით ახალციხის საფაშოში დაიღუპაო. მთელს თბილისს და ქართლს მოედო ეს საზარი ამბავი და კიდით-კიდემდე გავრცელდა იგი. შეძრწუნდა მთელი თბილისი, ძაძით იმოსებოდა მეფის სახლობა, გლოვის ზარი და ქვითინ-ტირილი გაისმოდა ყველგან და ნამდვილი საქმის გარემოება კი არავინ იცოდა. შიში, ძრწოლა, თავის შვილის ამბავი ყველას პირს ეკერა. მაგრამ მესამე დღეს ამ ამბის გავრცელებისა, უცებ გამოჩნდა დაწინაურებული რამდენიმე წარჩინებულით მეფე თბილისის მიდამოებში და თბილისმაც ფერი იცვალა, მწუხარება ერთს წამში მხიარულებად შეიცვალა, ეკლესიებში მყისვე სამადლობელი პარაკლისები გაისმა და დღესასწაულს ეძლეოდა ერეკლე, მისი ოჯახი, თბილისი და მასთან ერთად მთელი ქართველობა.

(შემდეგი იქნება)

ზ. ედილი.

გენციის ყოველივე ღირებულებას მოკლებულ უშინაარსო, უფერულ ყოფაცხოვრებისა, რათა ერთხელ კიდევ დავამტკიცო სამართლიანობა და საფუძვლიანობა ჩემი შეუწყვეტელი საყვედურებისა. მე მუდამ თამამად და გაბედულად მითქვამს, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მოიპოება ისე ჩამორჩენილი დაბა, როგორც ახალ-სენაკი. დიახ, ეს მრავალჯერ მითქვამს და ვიმეორებ ეხლაც, რის დასამტკიცებლად მე მრავალი საბუთი მაქვს.

ყველას კარგად მოეხსენება თეატრის მნიშვნელობა. დ. ახალ-სენაკის ახალგაზრდა სცენის მოყვარეებს მეტად აუტანელ პირობებში უხდებათ წარმოდგენების მართვა. საზოგადოება კი ხელს არ უწყობს მათ. სენაკის ინტელიგენცია სდუმდა და დღესაც სდუმს. სენაკის საზოგადოება მუდამ ძილს იყო მიცემული და დღესაც სძინავს. იგი თეატრის შენობის აგებაზე ხმას არ იღებს, თავს არ იწუხებს და თეატრი ხომ ისეთი საზოგადოებისთვის არის საჭირო, რომელსაც ესმის დანიშნულება ამ დაწესებულებისა რომელსაც უყვარს იგი, სწამს მისი არსებობის აუცილებლობა და არა ისეთი ხალხისთვის, რომელიც მასში ხედავს მხოლოდ გასართობ საგანს, სადაც ყოველგვარი „ჯამბაზები“ იღებენ მონაწილეობას. სენაკის საზოგადოების თვალში თეატრს ადგილობრივმა „ცირკმა“ გადააჭარბა თვისი წარმოდგენების „შინაარსით“. სენაკელებმა თეატრს ზურგი უქციეს და ცირკს მიაშურეს. იქ მეტი სიცილ-ხარხარი შეიძლებოდა. თეატრის დარბაზი კი, რომელიც სულ 80—100-მდე კაცს იტევდა, არასოდეს სავსე არ იყო. ვსთქვათ, მათ არ აკმაყოფილებდათ ადგილობრივი ახალგაზდა სცენის მოყვარეების მუშაობის ნაყოფი, მათ მიერ გამართული საღამო-წარმოდგენები, და წარმოვიდგინოთ ეს იყო მიზეზი მათი ინდიფერენტიზმისა, მაგრამ რითი გაუმასპინძლდენ სენაკელები ჩვენი ეროვნული მელპომენის შვილება ვლ. ალექსი-მესხიშვილს, რითი გაუმასპინძლდენ ჩვენი სცენის ქურუმს ნინო ჩხეიძეს? როგორ შეხვდენ ვასო, ტასო აბაშიძეების პირველ გასტროლებს? იმითი რომ არც ერთის წარმოდგენა არ შემდგარა საზოგადოების დაუსწრებლობის გამო!

არც ბიბლიოთეკა-სამკითხველო არის დიდს პატივისცემაში. „მივხუროთ ეს სამკითხველო, თორემ ბევრ ხარჯებს იწვევსო“, გაიძახის იმისთანა ადამიანიც, რომელსაც მილიონამდე შეძლება აქვს.

სხვათა შორის აქ ძმ. სანიკიძეებმა პროექტორისთვის ააშენეს დარბაზი, რომელიც 300-მდე კაცს იტევს, ამ დარბაზს აქვს სცენაც, ვითომდა წარმოდგენების გასამართავად, მაგრამ, საუბედუროდ, „ინჟინერს“ ვერ გამოუზომავს წინდაწინვე, თუ რა ზომის უნდა ყოფილიყო სცენა, რომ დეკორაციების დადგმის შემდგომ ადგილი იმოდენა დარჩენილიყო, რომ ერთი სრულებით უბრალო პიესის დადგმა შესაძლებელი ყოფილიყო. ამ დარბაზის აშენების დროს სენაკის დრამატიულ წრეს რომ ხმა ამოეღო, იქნებ სცენა გაედიდებინათ და წარმოდგენის ბედიც უკეთ წასულიყო. არც ის ვიცით ზრუნავს თუ არა ეს წრე მომავლისთვის მაინც?!

* * *

ეხლა განვიხილოთ, როგორ აქვთ დაყენებული სასწავლებლების არსებობის საქმე სენაკის საზოგადოებას. ეს დაბა დღემდე მოკლებული იყო და დღესაც მოკლებულია ყოველგვარი თვალსაჩინო და საყურადღებო სასწავლებელს.

სამართლიანი იყო ბ-ნი კირილე წუთისოფლელის მიერ „საქართველოს“ ერთ ერთ ნუმერში დაბა ახალ-სენაკის აღწერა. მან აღნიშნა ის გარემოება, რომ სენაკი ძალიან ჩამორჩენილი დაბა იყო. მაშინ როდესაც ისეთი დაბები, რომელსაც რკინის გზა არ აკრავს როგორც მაგ. ზუგდიდი, ხონი, ჩოხატაური და ოზურგეთია მრავალი სხვა და სხვა სასწავლებელი არსებობს, სენაკში ერთად ერთი ოთხკლასიანი სასულიერო, სასწავლებელია, სხვებზე ლაპარაკიც არ ღირს. და სენაკის მახლობლად მდებარე ცხრა სოფლების მცხოვრებნი, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ შვილების აღზრდისა დიდს გაჭირვებას განიცდიან.

ამ ბოლო ხანებში ატყდა ლაპარაკი უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლის გახსნის აუცილებლობაზე, რის სასარგებლოდ ადგილობრივი მაზრის უფროსის წყალობით და მეცადინეობით რამოდენიმე ათასი მანეთი შეგროვილ იქმნა. როგორც გადმოგვცეს ეს სასწავლებელიც ისეთი ხასიათის იქნება, როგორისაც არიან საერთოდ ამ ტიპის სასწავლებლები, სადაც ქართული ენას არავითარი თვალსაჩინო და საყურადღებო ადგილი არ ექნება. საჭიროა სენაკელების ყურადღება ამ არა სასურველ მოვლენას მიექცეს და თუ შესაძლებელია შესწორება რამე შეიტანონ ამ მდგომარეობაში· და თუ ვერას გახდნენ, მაშინ სასურველია ეს სასწავლებელი სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთდეს. გარდა იმისა რომ სამეურნეო სასწავლებელს გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან პრაქტიკული ცოდნის ხალხში გავრცელებით, ამ სასწავლებელში ქართულის გამეფება უფრო ადვილიც არის.

* * *

აქ ქართული გაზეთების აგენტი არის თვისი წრმენით „დასელი“, რომელიც ძლიერ ზრუნავს იმ გაზეთის გავრცელებაზე, რომელსაც სახელად ეწოდება „თანამედროვე აზრი“. მეგაზეთეების ხელში სხვა გაზეთები მუდამ მიმალულია, სჩანს მხოლოდ „თ. აზრი“ და როდესაც მყიდველი გაზეთს თხოულობს, მას უპირველესად ყოვლისა მეგაზეთე აწვდის „თ. აზრს“. მე თვით ამ სტრიქონების დამწერი, მრავალჯერ ვყოფილვარ მოწმე ასეთი მოვლენისა. რამდენად სამართლიანი და პატიოსანია ამ „ახალ-მოდის ცენზორების“ საქციელი ეს თვით „თ. აზრის“ თანამოაზრეებმა გასინჯონ...

ფრანც-მოორი.

ქუთაისის სათ.-აზნაურო ბანკის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ დამიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი: ქუთაისის საადგილმამულო სათ.-აზ. ბანკიდან 1912 წლის ოქტომბერში მე ვიყიდე ქ. თბილისში, მეცხრე უბნის, ნეკრასოვისა და ნიკოლოზის ქუჩაზე ცეცხლისაგან ნახევრად დამწვარი და ყოველ შემოსავალ მოკლებული სახლი, კუთვნილი წინეთ ჯაფარიძისა და შემდეგ დაწვისა 27 ოქტომბერს 1911 წ. ხსენებულ ბანკზე დარჩენილი. თითქმის წელიწადი ეცადა ბანკი სახლი როგორმე გაესაღებინა, მაგრამ რაკი მყიდველი ვერ იშოვა, თვითონ შეადგინა პლანი და სმეტა, რომელი სმეტითაც ათასი თუმანი უნდა დამჯდარიყო სახლის კაპიტალური რემონტი, და ის იყო უნდა შედგომოდა შენობის შეკეთებას, რომ შუა **კატის** წყალობით ჩემზე გაასაღოს მინგრეულ-მონგრეული სახლი ესრედ წოდებული „ზაპროდაჟნაი ზაპისით“.

ქალაქის ინჟენერ-ტეხნიკოსებმა, რომლების მოვალეობაცაა თვალ-ყურის გდება, რომ ქალაქში შენობები იგებოდეს თანახმად სავალდებულო დადგენილებათა და საამშენებლო წესდებისა, არ გამიშვეს ბანკის სმეტით გამეკეთებინა რემონტი და გამაკეთებინეს ერთი იმდენი ზედმეტი, რაც სმეტაში იყო ნაჩვენები. ამის გამო შენობაზე დაიხარჯა 10 ათასი მან. მაგიერ 20 ათას მან. მეტი და შეკეთებას მოუნდა 6 თვის მაგიერ თითქმის წელიწად ნახევარი, რამაც დიდად დამაზარალა თვითონ მე.

ბანკი-კი, რომელიც იურიდიულად სახლის პატრონად ითვლებოდა, რადგანაც მე დამტკიცებული არ მქონდა, ამ დროს მაწერდა და მაწერდა ჯარიმას (**პენია**) გადასახადების ვადაზე შეუტანლობისათვის. იმისდა მიუხედავად, რომ სახლს შემოსავალი არ ჰქონდა და პირიქით ფულს ვახარჯავდი, მე, აგვისტოს გასულს 1913 წელს გავყიდე თუ არა ჭიათურაში მამისეული მამული, შევიტანე ბანკში ასი თუმანი და დანარჩენი გაყიდულ მამულში აღებული ფულით განვაგრძე რემონტი.

იანვრის დასაწყისში 1914 წელს, ვახერხებ ნოტარიუსთან დამტკიცების შესახებ მოლაპარაკება. ამ დროსა ჩნდება ბანკში მეძმარიაშვილი, გამოხმობილი თბილისიდან ბანკის მოხელეების მიერ. ეჭვი არაა ჩემთვის ხელის შესაშლელად, და იგებს რა, რომ ბანკმა უკვე გაათავა ჩემთან საქმე, წინადადებას მაძლევს ქორდავას პირით: შევისყიდო მისგან სასტუმროს მოწყობილება, ან ამხანაგად მივიღო, რისთვისაც იგი ნედოიმკებს შეიტანს ჩემ მაგიერ, და ან დაეთმო მას სახლი მორიგებით. მე უარს უთვლი. მაშინ მას იქვე ბანკში დაწერილი განცხადება შეაქვს გამგეობაში, რომ ის გარდა უკვე ბანკის კასაში მის მიერ შეტანილი ნედოიმკების ანგარიშში 6 ათას მანეთისა, შეიტანს კიდევ 5 ათას მანეთს დამტკიცების დროს და ამის შემდეგ კიდევ 10 ათას მანეთს 10 თვის განმავლობაში, თვეში ათას მანეთს, თუ ბანკი ჩამომართმევს მე სახლს და მიჰყიდის მას.—ბანკი, ჩემდა და სხვების გასაოცებლად იღებს ამგვარ განცხადებას მეძმარიაშვილისას მას შემდეგ, როცა ჩემსა და ბანკის შორისაც უკვე ყველაფერი გათავებული იყო, როცა მე ბანკმა დამითანხმა უმძიმეს პირობაზე, რომ პირველი დამტკიცების ხარჯები, რომელიც თვითონ უნდა გაეწია, მე დამაკისრა და თვითონ ყოველი ხარჯისაგან განთავისუფლდა! 5 მარტს საღამოზე მართავენ ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის შეერთებულ სხდომას მეძმარიაშვილის განცხადების განსახილველად და აი ამ კრებაზე 5 კაცი წინააღმდეგ სამისა სწყვეტს: ჩამომერთვას მე სახლი და მიეყიდოს მეტოქეობით (путемъ соревнованія) მას ვინც მეძმარიაშვილზე მეტი ფული შეაძლიოს ბანკს, და თუ მეტის მიმცემი არავინ გამოჩნდეს, მაშინ მეძმარიაშვილს მიეყიდოს. იმ 5 კაცში ერთი მახლობელი ნათესავი ყოფილა მეძმარიაშვილისა და დანარჩენთაგანი, როგორც დანამდვილებით გავიგე, ზოგი დაინტერესებული ყოფილა, რომ უთუოდ მას მიჰყ დოდა სახლი და ზოგიც შეცდომაში შეუყვანიათ ყალბი და არასაკადრისი მოხსენებით საქმისა. ხსენებულ სასიკვდილო განჩინების სისრულეში მოყვანა დაევალა ბ. ლასხიშვილს, რომელმაც დაუყოვნებლივ, თბილისში დაბრუნების უმალვე, მოიყვანა სისრულეში, ე. ი. 12 მარტს ოფიციალურად ჩამომართვა სახლი თავის სინიდისისა და რწმენის წინააღმდეგ და ჩააბარა ბანკს. ამის შემდეგ მოკლებული ყოველ საშუალებას, რომ სასამართლოში დამეწყო საჩივარი, ვწერ საჩივარს მეფის ნაცვლის სახელზე, რომ ადმინისტრატიული გზით როგორმე დავიბრუნო სახლი, მაგრამ ბ-ნ ლასხიშვილის რჩევით საჩივრის მიცემას ვაჩერებ და ხელახლა ვგზავნით მე და ის ბანკის გამგეობაში დასაბუთებულ შუამდგომლობას სახლის დაბრუნებაზე და დამტკიცებაზე. პასუხად მოდის შემდეგი მოწერილობა (4 მარტის თარიღით № 1455): „წინადადება მიეცით წერეთელს ერთი კვირის განმავლობაში შემოიტანოს იმდენი ფული, რასაც მეძმარიაშვილი იძლევაო. წინააღმდეგ შემთხვევაში სახლი გაჰყიდეთო“. ამ ნაირად ბანკის მოხელეებმა თავზე ხელი აიღეს: წინადადებას მაძლევენ ხელმეორედ ვიყიდო ბანკისაგან ჩემი უზომო ხარჯით და შრომით აგებული სახლი, რომ იგი სახლი ამით ხელიდან გამოვგლიჯო მადა გახსნილ ჩემს მეტოქეს მეძმარიაშვილს, რომელიც 21 ათას მანეთად იძენს თვით ბანკის შეფასებით ასი ათას მანეთიან სახლს და ამასთან სარგებლობს ბანკისაგან ბოძებულ შეღავათით, რომ 21 ათას მანეთში ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს 10 ათასი მანეთი 10 თვის განმავლობაში, მე კი, სახლის ამშენებელი, თითქოს რაღაცა მომაკვდინებელი ცოდვა ჩამედინეს, ბანკის წინაშე, მოკლებული ვარ ამ შეღავათს! მე სასტიკის კილოთი მიბრძანებენ ერთის კვირის განმავლობაში შევიტანო ბანკში იმდენი, რამდენის გადახდასაც მეძმარიაშვილი ჰპირდება თითქმის ერთის წლის განმავლობაში. არ ვიცი, რით დავიმსახურე ბანკისაგან ასეთი რისხვა და ცეცხლი;

ამის შემდეგ გაძარცულმა მივმართე საჩივრით მეფის ნაცვალს ბანკზე. მეფის ნაცვლის კანცელარიამ პასუხი მოსთხოვა ბანკს. წარმოიდგინეთ, ამის გამო ბანკელები იუპიტერივით საშინლად განრისხებულან, მე „დონოსჩიკად“ მოუნათლივარ და ჩემი საჩივარი „დონოსად“. გამოდის მათ უფლება ჰქონიათ ისე მომქცეოდნენ და მე კი საჩივრის ნებაც არ მქონია!

ეს წერილი გამზადებული მქონდა, რომ ბანკელებმა ითამაშეს უკანასკნელი აქტი ჩემის ტრაგედიისა: 7 ამ თიბათვეს შინაური, ჩუმი, უპუბლიკაციო ვაჭრობა გამართეს თბილისის განყოფილებაში და, ჰოი საკვირველებავ! ჩემის ოფლით აგებული სახლი დაუნარჩუნეს სომეხს ოსიპოვს 74 ათას მანეთში.

ამ ფაქტს, მგონი, განმარტება და კომენტარიები არ სჭირია! სახლი მომტაცეს, მოგებაც მიიღეს, მხოლოდ აუარებელი ვალები, რომელიც იმ სახლის აშენებაზე დამედო, მე დამიტოვეს გადასახდელად! ყველა ეს ჩაიდინეს იმიტომ, რომ სახლი ფორმალურად არ მქონდა დამტკიცებული და არც როდისმე ბანკს გაუფრთხილებივარ ამის შესახებ. სახლის დაუმტკიცებლობისა სრულებით არ მეშინოდა მით უმეტეს, რომ თვალწინ მქონდა მაგალითი მრავალ პირთა, რომელთაც ამავე ბანკისაგან აქვთ ნასყიდი სახლები და ვადა დამტკიცებისა კაი ხანია გაუვიდათ, მაგრამ ბანკი მათ სახლებს არ ართმევს. ამის გარდა იმ პირებთან მე ერთი დიდი უპირატესობაც მქონდა: ისინი ყიდვისთანავე მზა მზარეულ სახლებში შევიდნენ და იმ დღიდანვე სარგებლობენ სახლებით, მე კი წელიწად ნახევარი რემონტს მოუნდი, მთელი ჩემი ქონება ზედ გადავალიე, მამული ჭიათურაში იმ სახლმა შეიწირა, დედეული მამული გორის მაზრაში, ს. შინდისში საჯარო ვაჭრობით გამიყიდეს იმ სახლის გამოღებულ ვალში, ქონება რომ არ მეყო, ქვეყნის ვალები წამოვიდე, ჯამაგირზე პოდრაჩიკების აღმასრულებელი ფურცელი აძევს და მიჭერენ; მეგონა ყველა ამას ბანკელები დაინახავენ, აქტივში ჩამითვლიან თქო, მაგრამ მწარედ მოვსტყუდი! მეორე საბუთი ჩემის ვერაგულად დალუპვისა ვითომდა ნედოიმკების მოგროვებაა 10 ათას მანეთამდის. მე შემეძლო გადამეგირავებინა სახლი და ბანკისთვის გადამეხადა მისი ნედოიმკები, ამაზე პირველ ხანში თვითონ ბანკიც იყო თანახმა, და ასევე გაუკეთებიათ საქმეები იმავე ბანკში ორი სომხისთვის: ჩატინიანცისთვის და მირზოევისთვის. ნედოიმკების გამო მაშინ შეიძლებოდა ჩამომრთმეოდა სახლი, რომ შედარებით სახლი არ ღირებულიყო დიდ ფასად, ნედოიმკების გადახდის დაყოვნებით მოსალოდნელი ყოფილიყო ბანკისთვის ზარალი და სხვა. მაშასადამე, არც დაუმტკიცებლობა სახლისა და არც ნედოიმკები არ ყოფილა მიზეზი ჩემი გაყვლეფისა.

მე დარწმუნებული ვარ და საბუთებიც მაქვს, რომ ბანკელებმა ჩემის თვალის ასახვევად ჩააგდეს სახლი შინაურ ვაჭრობაში სრულიად დარწმუნებულებმა, რომ მეძმარიაშვილს დაანარჩუნებდნენ სახლსა, მაგრამ მათ მოლოდინის წინააღმდეგ სომეხს ჩაუვარდა ხელში.

ამბობენ ამნაირადვე წაურთმევია ქუთაისის ბანკს თბილისში ვინმე გურგენიძისთვის და მანველიძისთვის სახლები და სომხებზე გაუყიდნია. 29 თებერვალს ქუთაისის ბანკის შენობაში მე თვითონ ვნახე სამი მომტირალი იმერელი გლეხი, რომლების მამულიც ამ ბანკს ჩუმის ვაჭრობით მიეყიდნა ერთის ჩარჩისთვის მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ხსენებულ გლეხებს ნასყიდი მამული დამტკიცებული არ ჰქონოდათ და არც სცოდნოდათ საბრალოებს, რომ დამტკიცება საჭირო იყო. მათ ჰგონებიათ თურმე, რომ რაკიღა ბანკისაგან მამული ვიყიდეთ, ამას დამტკიცება აღარ სჭირიაო. დირექტორ ბ. ი. ფანდნაკას სიტყვით, რომელიც ჩემის თანდასწრებით დირექტორ ბ. ა. ლორთქიფანიძეს ახსენებდა საქმის გარემოებას, იმ გლეხებზე არავითარი ნედოიმკა არ ირიცხებოდა და ყოველი გადასახადი თავის დროზე შეჰქონდათ ბანკში. გამოირკვა, რომ ბანკს ერთხელაც კი არ გაუფრთხილებია გლეხები, რომ მამული დაემტკიცებინათ ბ. ლორთქიფანიძის გამონაგარიშებით, გლეხებზე მამული დამტკიცება დაჯდებოდა 27 ან 30 მანეთი. ამაზე გლეხები იძახოდნენ: ბატონო, მანეთს კი არა ოცდაათს თუმანს დავხარჯავდით, რომ გვცოდნოდა დამტკიცება საჭირო იყოო! მე შევკრიბე ცნობები სხვა ბანკებში და აღმოჩნდა რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ბანკს მსგავსად ქუთაისისა ჩამოერთმიოს ვისთვისმე სახლი, თუ მეტადრე მყიდველს რაიმე გაუკეთებია სახლში. თბილისის თ.-აზ. ბანკში არის ამნაირი მაგალითი: ბაქოში ბანკს გაყიდული აქვს წინასწარ გაყიდვის ქაღალდით სომეხ ბაბაევის ქალზე მამული, შეფასებული 300 ათას მანეთად, რომელ მამულზედაც მოგროვილია 90 ათასი მანეთის ნედოიმკა ბანკი არ ართმევს მამულს იმიტომ, რომ საშინელ უსამართლობათ სთვლის ჩამოართვას 300 ათას მანეთიანი მამული 90 ათას მანეთ ნედოიმკებისთვის. ბაქოში მყოფი ერთი შეძლებული ქართველი ბანკს წინადადებას აძლევს ჩამოართვას ბაბაევისას ხსენებული მამული და მიჰყიდოს მას, რისთვისაც ჰპირდება ნედოიმკების ხელად შეტანას, მაგრამ ბანკი უარს ეუბნება იმავე ფრიად კეთილშობილურ პრინციპზე დამყარებული.

ამით ვათავებ ამ წერილს და დეე საზოგადოებამ დასდოს თავისი მსჯავრი ბანკის საქციელს.

სერგო წერეთელი

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უარვყო ის ხმები, რომლებიც ამ ბოლო დროს ვრცელდება ჩვენს საზოგადოებაში—ვითომ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობას საბოლოოდ გადაეწყვიტნოს **ქართველ მოღვაწეთა აგარაკი აშენდება არა ს.** წაღვერში, რომელიც წინათ იყო განზრახული, არამედ დ. სურამში. ეს სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. მართალია, გამგეობის მიერ მოწვეული იყო ქართველ ექიმთა თათბირი, რომელმაც გამოსთქვა თავისი **აზრი** სურამის უპირატესობაზე, მაგრამ ეს აზრი არავისთვის **საბოლოო გადაწყვეტილებას** არ შეადგენს. ყოველ შემთხვევაში გამგეობა მას თავისთვის **სავალდებულოდ** არა სთვლის. გამგეობა ამ შემთხვევაში იქცეოდა და იქცევა ისე როგორც შეჰფერის ყველა დარბაისელს მოსაქმეს: ვიდრე რომელსამე საბოლოო დასკვნას დაადგებოდეს, შეეკითხება სხვა და სხვა მცოდნე პირთ, კიდევ **რამდენსამე თათბირს შეჰკრებს**, საცა მოიწვევს ექიმებს, ტეხნიკებს, საკულტურო დაწესებულებათა წარმომადგენელთ, საერთოდ ყველა იმას, ვისაც რითმე შეუძლიან ხელი შეუწყოს აგარაკის აშენების საქმეს. **თვით გამგეობის წევრები ეცდებიან ამ ზაფხულს დაიარონ ყველა ადგილები, რომლებიც დასახელებულნი არიან სააგარაკოდ.** მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებს გამგეობა შეგროვილ მასალის საბოლოოდ გადათვალიერებას, მხოლოდ ამ წინასწარ საქმიანობის შემდეგ გადასწყდება საკითხი: სად აშენდეს აგარაკი, მანამდის კი მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლიან: **აგარაკი აშენდება იქ, სადაც მცოდნე პირნი ამას საუკეთესოდ დაინახავენ.** განზრახული აგარაკი—საშვილიშვილო, საერთო ეროვნული საქმეა, მისი აჩქარება [illegible] შეუწყნარებელ ცოდვად ჩაითვლება.

ამ თავით [illegible] აგარაკის ასაშენებლად საჭირო თანხის შოვნაზე ვზრუნავთ, სწორედ ამ მხრივ დაგვეხმაროს და ნუ იკისრებს საქმის სათავეშივე უკმაყოფილების ატმოსფერის შეტანას. **ფული იყოს თორემ აშენება ადვილია, საცა კი მცოდნე პირები საუკეთესოდ დაინახავენ აგარაკის აგებას.**

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე **გ. ჟორდანია.**

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10 33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4, 7		„ 58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3, . 7		„ 58	„ საღ.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102 წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვინეთუხუცესები [illegible]
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-ზმით**, საკუთარ მრეწველობიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მოშონი“ ხიზილალა**, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.